სსიპ სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

05 / დეკემბერი / 2024 წ.

KA021740280284324

№ **1/1-7007**

ბრძანება

ქალაქ რუსთავში, მეგობრობის ქუჩა N41-ის მიმდებარედ არსებული 3419.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით პრივატიზების შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის, „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო/სარეალიზაციო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო თანხის/საწყისი სარეალიზაციო საფასურის, სარგებლობაში გადაცემის საფასურისა და საწყისი სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის N570 დადგენილების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ანაზღაურებისა და ამონაგები თანხის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის N393 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის N391 დადგენილების, „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის N1-1/172 ბრძანებით დამტკიცებული წესისა და „სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის“ უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის N1-1/1835 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქალაქ რუსთავში, მეგობრობის ქუჩა N41-ის მიმდებარედ არსებული 3419.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი N02.04.02.907) პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით, ხოლო საწყისი საპრივატიზებო თანხა განისაზღვროს 1 365 000 ლარის ოდენობით.

2. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბე-ს ოდენობა განისაზღვროს 409 500 ლარით, ხოლო სავაჭრო ბიჯის ოდენობა 5000 ლარით.

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღის ვადაში;

ბ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 36 (ოცდათექვსმეტი) თვის ვადაში, ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების ან მისი ნაწილის განვითარების (რაც მოიცავს (მაგრამ შესაძლოა არ შემოიფარგლებოდეს) საპრივატიზებო უძრავ ქონებაზე ან მის ნაწილზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას) მიზნით, ამავე უძრავ ქონებაზე, არანაკლებ 2 000 000 (ორი მილიონი) ლარის ოდენობის ინვესტიციის (დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინების გარეშე) განხორციელება.

4. მყიდველი ვალდებულია ამ ბრძანების მე-3 პუნქტით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების შესრულების (მათ შორის, ამ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობისათვის შესაბამისი ხელშეკრულების

საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის) უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში წარმოადგინოს ამ ბრძანების მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საინვესტიციო თანხის არანაკლებ 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის ვადაც არანაკლებ 4 (ოთხი) თვით უნდა აღემატებოდეს ამავე ქვეპუნქტით განსაზღვრულ საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას.

5.დამტკიცდეს საინფორმაციო საშუალებებში განსათავსებელი აუქციონის ჩატარების შესახებ განცხადება (თან ერთვის) და დაევალოს სახელმწიფო ქონების პრივატიზების დეპარტამენტს შესაბამისი განცხადების გამოქვეყნება კანონით დადგენილი წესით.

6. საპრივატიზებო ქონება განისაზღვროს სახელმწიფო მნიშვნელობის ქონებად.

7.წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შეიძლება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64) კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

ირაკლი შენგელია